



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080119420607018

№ 1636

03 / ივლისი / 2018 წ.

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიის“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის
გაგრძელების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 28 ივნისს წარმოდგენილ იქნა სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიის“ (ს/ნ: 202161098) 2018 წლის 27 ივნისის № 06/574 მომართვა (რეგისტრაციის № 5463), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიის“ (ს/ნ: 202161098) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2018 წლის 10 აგვისტოს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ: 202161098) 2018 წლის 11 აგვისტოდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე